ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე, გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების (თანმდევი მომსახურება - მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა)

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თბილისი 9 მარტი 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ანდღულაძე - გამგებელი

კომისიის წევრები:

ნიკოლოზ კანდელაკი - გამგებლის მოადგილე;
ბეჟან ხუციშვილი - გამგებლის მოადგილე;
მაია ბზარაშვილი - საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების უფროსი;
ნინო რამიშვილი - იურიდიული განყოფილების უფროსი;
თათია ელისაშვილი - ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილების უფროსი

აპარატის წევრები:

ნინო ლომჯარია - საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
თამთა ლეკიაშვილი - საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ, 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე, გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების (თანმდევი მომსახურება - მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა) 6 კომპლექტის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2022 წლის **24 თებერვალს** გამოცხადებულ **NAT220003845** ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) დაბალფასიანი პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარდგენის პროცესისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვის შესახებ.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა თ. ლეკიაშვილმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ ზ/აღნიშნულ ტენდერში აუქციონის გარეშე, სახლმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, გამოვლინდა დაბალფასიანი პრეტენდენტი **ჯეო პარკი:**

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
ჯეო პარკი	**224`500.00** 07.03.2022 11:37	226`022.00 07.03.2022 10:38	[2]

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა დაბალფასიანი პრეტენდენტის **ჯეო პარკის** მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, რომელიც მოიცავს სატენდერო ფასსა და ტექნიკურ დოკუმენტაციას. განხილვის შედეგად აღმოჩნდა:

1. ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის მიერ ატვირთული ხარჯთაღრიცხვის ღირებულება (**226`021.95** ლარი) აღემატება ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს (**224`500.00** ლარი).

2. პრეტენდენტს დანართი N1-ის შესაბამის ველში მითითებული აქვს შემთავაზებული შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი და მოდელი.

3. დანართ N1-ში ასევე მითითებულია მწარმოებელი კომპანიის ვებგვერდი: https://outdoor.romana.ru/ , რომლის გადამოწმებისასაც დასტურდება ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული პროდუქციის შესახებ.

4. პრეტენდენტს შესყიდვის ობიქტზე წარმოდგენილი აქვს ხარისხის დამადასტურებელი TUV სერტიფიკატი;

5. დაბალფასიანი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი გამოცდილების დამადასტურებელი დანართი N2-ის შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სიტემაში გადამოწმების შემდგომ ირკვევა, რომ. პრეტენდენტს ნამდვილად გააჩნია სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი გამოცდილება.

კომისიამ დაადგინა:

1. **NAT220003845** ტენდერის გამარჯვებულად გამოვლინდეს **ჯეო პარკი;**

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ჯეო პარკს განესაზღვროს** არანაკლებ 4 (ოთხი) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. ხოლო ამავე წესის 27-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე 3 (სამი) სამუშაო დღე (რომელიც ითვლება ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრულ ვადაში) საბოლოო ფასის შესაბამისად დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის წარმოსადგენად.

3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „ 34-ე მუხლის შესაბამისად, **ჯეო პარკს** მოეთხოვოს სატენდერო დოკუმენტაციის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია - ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით (ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევის ვადას).

4. 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის ან/და გარანტიის წარმოუდგენლობის ან/და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის შემთხვევაში, მოხდეს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის 'ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

5. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს **ჯეო პარკის** შეტყობინებად და შეტყობინება გაეგზავნოს მიმდინარე სატენდერო ოქმის შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სასტემაში ატვირთვის გზით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვალოს მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

6. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და სატენდერო განცხადების კორექტირება კანონით დადგენილ ვადაში.

7. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის N1 ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით (https://tenders.procurement.gov.ge/)

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე — ი. ანდღულაძე

კომისიის წევრები:

ნ. კანდელაკი

ბ. ხუციშვილი

მ. ბზარაშვილი

ნ. რამიშვილი

თ. ელისაშვილი

აპარატის წევრები:

ნ. ლომჯარია

თ. ლეკიაშვილი